

შპს პრესტიჟი

ფასს-ებზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების
ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

შინაარსი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
--------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	18
4. ამონაგები	18
5. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	18
6. გაყიდვის ხარჯები	18
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
8. ძირითადი საშუალებები	20
9. საინვესტიციო ქონება	21
10. ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში	21
11. მარაგები	21
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
14. მიღებული სესხები	22
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
16. საგადასახადო ვალდებულება	23
17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	23
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს პრესტიჟის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს პრესტიჟის (შემდეგში კომპანია) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებებს, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მე-2 შენიშვნაში მოცემული საფუძველის შესაბამისად, რომელიც აღწერს ფასს-ზე გადასვლის საფუძველს ფასს 1-ის თანახმად, რომელიც მოიცავს დაშვებებს, რომ ხელმძღვანელობა გამოიყენებს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს, რომელიც ძალაში იქნება, როდესაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობა პირველად მოამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ის შესაბამისად; ასევე იხელმძღვანელებს შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშნის თარიღს. კომპანიის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულებები მარაგების რაოდენობების და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით. სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგები ზემოთ მოცემული თარიღებისთვის წარმოდგენილია შესაბამისად 8,898,524 და 7,025,964 ლარის ღირებულებით. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარისი და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე:

ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი

განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 ოქტომბერი 2018 წელი

შპს პრესტიჟი**სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება**

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017
ამონაგები	4	25,073,074
გაყიდვის თვითღირებულება	5	(12,055,674)
საერთო მოგება		13,017,400
სხვა შემოსავალი, წმინდა		57,868
გაყიდვის ხარჯები	6	(6,345,405)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,092,983)
საოპერაციო მოგება		3,636,880
წილი ინვესტირებულის საწარმოს მოგებიდან	10	7,219
საპროცენტო ხარჯი		(346,877)
ჩამოწერილი მარაგების ხარჯი		(491,949)
საკურსო სხვაობის ზარალი, წმინდა		(923,054)
მოგება დაბეგვრამდე		1,882,219
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,882,219

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 29 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ მაია პაპალაშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ თეა ხარჩილავა

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	<u>შენიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი 2017</u>	<u>1 იანვარი 2017</u>
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	3,930,895	3,526,238
საინვესტიციო ქონება	9	1,249,888	-
არამატერიალური აქტივები		16,677	24,431
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში	10	33,541	26,322
		<u>5,231,001</u>	<u>3,576,991</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	8,898,524	7,025,964
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,397,417	1,064,633
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	1,609,014	872,491
		<u>12,904,955</u>	<u>8,963,088</u>
სულ აქტივები		<u>18,135,956</u>	<u>12,540,079</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		42,400	42,400
გაუნაწილებელი მოგება		3,981,153	3,898,934
		<u>4,023,553</u>	<u>3,941,334</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	4,322,212	2,905,897
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	3,184,725	1,419,529
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,636,933	3,996,764
საგდასახადო ვალდებულებები	16	968,533	276,555
		<u>9,790,191</u>	<u>5,692,848</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>18,135,956</u>	<u>12,540,079</u>

10 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	42,400	3,898,934	3,941,334
მფლობელებზე განაწილებული გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,800,000)	(1,800,000)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,882,219	1,882,219
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	42,400	3,981,153	4,023,553

10 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე		1,882,219
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია		316,913
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		5,033
მარაგების ჩამოწერა		491,949
საპროცენტო ხარჯი		346,877
ერთობლივი საწარმოს მოგების წილი	10	(7,219)
ხარჯი საკურსო სხვაობებიდან		923,054
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		3,958,826
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,350,502)
მარაგების ზრდა		(2,364,509)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,448,256
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		692,078
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საპროცენტო ხარჯამდე		2,384,149
გადახდილი პროცენტები		(411,901)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,972,248
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(718,849)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	9	(1,183,238)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის		(1,902,087)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
მიღებული სესხების ზრდა		10,800,551
მიღებული სესხების დაფარვა		(8,342,711)
გადახდილი დივიდენდები		(1,765,000)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		692,840
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა		763,001
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	872,491
ფული და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		(26,478)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	1,609,014

10 - 27 გვერდებზე წამოდგენილი შენიშვნები დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პრესტიჟი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2004 წლის ივლისში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პ. სარაჯიშვილის ქ. 17ა.

კომპანია ბაზარზე მოღვაწეობს "ისი პარის" სავაჭრო მარკით. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კოსმეტიკური და პარფიუმერული პროდუქტით სავაჭრო და საბითუმო ვაჭრობა. ისი პარის მაღაზიებში 150-ზე მეტი პარფიუმერული სახელია წარმოდგენილი: Chanel, Sisley, Shiseido, YSL, Lancome, Cartier, Hermes, Bvlgari, Narciso Rodriguez, Ellie Saab, Marc Jacobs, Chloe, Gucci, Dolce&Gabbana, Burberry, J.P. Gaultier, I. Miyake, C. Herrera, Versace, Davidoff, CK და სხვა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია თბილისში ფლობდა 20 პარფიუმერიულ მაღაზიას.

კომპანიის გენერალური დირექტორია მაია პაპალაშვილი.

კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ლევან მარგველაშვილი	25%	25%
პაატა გიგაური	25%	25%
გიორგი მედულაშვილი	25%	25%
დავით მედულაშვილი	25%	25%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**მომზადების საფუძვლები**

მოცემულ ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ხელმძღვანელობისათვის, იმისათვის რათა დახმარება გაუწიოს კომპანიას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლაში 2018 წლის 31 დეკემბრისათვის. გადასვლის თარიღამდე კომპანია არც ამზადებდა და არც წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას რაიმე სახის რეგულაციების მოთხოვნიდან გამომდინარე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა საუკეთესო ცოდნა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის, რომელსაც კომპანია გამოიყენებს როდესაც მოამზადებს ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც შესაძლოა შეიცვალოს. მაგალითად, სააღრიცხვო სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ შესაძლოა გამოუშვას დამატებები და ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე. შესაბამისად, სანამ კომპანია პირველად მოამზადებს ფასს-ების სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს გადასვლის თარიღს ფასს 1-ის შესაბამისად, ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ცვლილების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება.

რადგან ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი, ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს. შესაბამისად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის წარდგენას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად მომზადება მოითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) ქართულ ლარს. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ახალი ფას-ების მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ფონდს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა.

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15, „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” და სარგებელი კლიენტს გადაეცემა. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე გამოყენებაც.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 - ლიზინგი, IFRIC 4 - განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხავს საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან.

კომპანიამ შეაფასა და თვლის რომ ახალი სტანდარტები, ფასს 15 და ფასს 9 მომავალში არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია ფასს 16-ის გავლენის შეფასების პროცესშია, რადგან მან შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2017 წლის 1 იანვრისთვის	2.6468	2.7940

ერთობლივი საწარმო

კომპანია ერთობლივ საწარმოს აღრიცხავს ფასს 11-ის მოთხოვნების შესაბამისად. ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივი საქმიანობა ან ერთობლივი ოპერაციაა, ან ერთობლივი საწარმო.

ერთობლივი საწარმო არის ისეთი საქმიანობა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ამგვარ მხარეებს ერთობლივ მეწილეებს უწოდებენ.

ერთობლივი კონტროლი ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლებაა ამა თუ იმ საქმიანობაზე, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.

კომპანია ერთობლივ საწარმოში კუთვნილი წილს აღიარებს, როგორც ინვესტიციას და ამ ინვესტიციას ასახავს წილობრივი მეთოდით.

წილობრივი მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველად აღიარებას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული საწარმოს ნეტო აქტივებში ინვესტორის კუთვნილ წილში შემცირების შემდგომ მომხდარი ცვლილებების შესაბამისად. ინვესტორის მოგება ან ზარალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში, ხოლო ინვესტორის სხვა სრული შემოსავალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრულ შემოსავალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული).

დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.

დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯფუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	10-50
სატრანსპორტო საშუალებები	10-14
იჯარის კეთილმოწყობა	7-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-15
ოფისისა და მაღაზიის აღჭურვილობა	2-15
სხვა	5-10

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. კომპანია საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარებისთვის და შემდგომი შეფასებისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯფუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივების დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მათი შემენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯებში. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრი მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იხერგება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდაზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარიში)

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ამონაგები

	2017
სუნამოები	18,255,387
კანის მოვლის საშუალებები	3,102,635
კოსმეტიკა	3,167,168
თმის მოვლის საშუალებები	345,855
ფრჩხილის მოვლის საშუალებები	202,029
	25,073,074

5. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2017
სუნამოები	(8,636,060)
კანის მოვლის საშუალებები	(1,522,403)
კოსმეტიკა	(1,590,813)
თმის მოვლის საშუალებები	(178,671)
ფრჩხილის მოვლის საშუალებები	(127,727)
	(12,055,674)

6. გაყიდვის ხარჯები

	2017
იჯარა	(2,262,414)
ხელფასები	(1,963,666)
მარკეტინგი და პრომოუშენი	(839,963)
სარეკლამო მასალები	(625,845)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(149,291)
ცვეთა და ამორტიზაცია	(146,708)
დაცვა	(139,932)
კომუნალურები	(124,026)
საახალწლო წამახალისებელი გათამაშება	(76,000)
სხვა	(17,560)
	(6,345,405)

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017
ხელფასები	(1,804,891)
სამეურნეო ხარჯი	(463,575)
ცვეთა და ამორტიზაცია	(170,205)
მივლინების ხარჯი	(153,868)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(106,217)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(114,630)
ბანკის საკომისიო	(61,940)
საკომუნიკაციო ხარჯი	(46,563)
დაცვა	(35,344)
დაზღვევა	(31,268)
სხვა	(104,482)
	(3,092,983)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება განმარტებულია მე-18-ე შენიშვნაში.

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

			ოფისისა და მაღაზიის აღჭურვილობა	იჯარის კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მიწა						
2017 წლის 1 იანვარი	1,619,441	425,893	498,698	991,647	184,482	825,573	285,766	4,831,500
შემოსვლა	98,259	-	97,374	165,343	11,225	302,930	43,718	718,849
გასვლა	-	-	(1,291)	(76,803)	(11,812)	-	-	(89,906)
2017 წლის 31 დეკემბერი	1,717,700	425,893	594,781	1,080,187	183,895	1,128,503	329,484	5,460,443
დაგროვილი ცვეთა								
2017 წლის 1 იანვარი	(10,247)	-	(236,565)	(667,378)	(103,171)	(281,198)	(6,703)	(1,305,262)
ცვეთა	(54,097)	-	(54,109)	(63,939)	(12,421)	(94,978)	(29,615)	(309,159)
გასვლა	-	-	915	72,290	11,668	-	-	84,873
2017 წლის 31 დეკემბერი	(64,344)	-	(289,759)	(659,027)	(103,924)	(376,176)	(36,318)	(1,529,548)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 1 იანვარი	1,609,194	425,893	262,133	324,269	81,311	544,375	279,063	3,526,238
2017 წლის 31 დეკემბერი	1,653,356	425,893	305,022	421,160	79,971	752,327	293,166	3,930,895

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები ჩადებულია სს თიბისი ბანკის სესხის უზრუნველყოფაში (შენიშვნა 14).

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

9. საინვესტიციო ქონება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ფალიაშვილის ქუჩა #17-ში მდებარე 298 კვ.მ. შენობის ფართით და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთით, რომლებიც კომპანიამ შეიძინა 2017 წლის 9 თებერვალს, 2017 წლის ნოემბრამდე კომპანია არემონტებდა ფართს და ექსპლუატაციაში შეიყვანა 2017 წლის ნოემბერში. კომპანიას მთლიანი ფართის მნიშვნელოვანი ნაწილი გაქირავებული აქვს (263.67 კვ.მ.) და 2017 წლის განმავლობაში მიიღო 13,154 ლარის საიჯარო შემოსავალი. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თვითღირებულებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	მიწა	შენობა	სულ
შესყიდვა	109,322	854,680	964,002
დაკაპიტალიზირებული რემონტი	-	219,236	219,236
დაკაპიტალიზირებული პროცენტი	-	66,650	66,650
	109,322	1,140,566	1,249,888

10. ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში

2012 წლის 10 თებერვალს შპს პრესტიჟმა, შპს ივერია ფრანსთან და შპს სტაილთან ერთად დააფუძნა შპს ამფორა. შპს პრესტიჟი განხორციელებულ ინვესტიციაში ფლობს 34% წილს. შპს ამფორას ძირითადი საქმიანობაა კოსმეტიკური და პარფიუმერული პროდუქტით საცალო ვაჭრობა. კომპანიასთან ერთად შპს სტაილი და შპს ივერია ფრანსი ერთობლივად აკონტროლებენ შპს ამფორას.

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები	1,513,040	1,273,741
ვალდებულებები	1,402,948	1,185,346
დაგროვილი ზარალი	(317,815)	(339,047)

ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულებს ცვლილება:

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	26,322	141,598
წილი ასოცირებული საწარმოს მოგებიდან (ზარალიდან)	7,219	(115,276)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33,541	26,322

11. მარაგები

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სუნამოები	4,351,544	3,123,612
კოსმეტიკა	1,569,549	1,455,512
სარეკლამო მასალები	1,451,366	866,675
კანის მოვლის საშუალებები	842,343	901,658
თმის მოვლის საშუალებები	226,021	257,183
ფრჩხილის მოვლის საშუალებები	155,059	119,004
საქონელი გზაში	184,146	217,526
სხვა	118,496	84,794
	8,898,524	7,025,964

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,313,380	921,383
არაფინანსური აქტივები		
გაცემული ავანსები	84,037	143,250
	2,397,417	1,064,633

სავაჭრო მოთხოვნების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-17-ე შენიშვნაში.

გაცემული ავანსები არ არიან ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული. სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ვადადამდგარი	2,037,081	879,784
ვადაგადაცილებული, მაგრამ გაუფასურების გარეშე	276,299	41,599
30-90 დღიანი ვადაგადაცილება	131,000	36,829
91-365 დღიანი ვადაგადაცილება	145,299	4,770
	2,313,380	921,383

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაღდი ფული	406,327	197,943
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე	840,691	196,614
ფული გზაში*	361,996	477,934
	1,609,014	872,491

*ფული გზაში სრულად წარმოდგენილია ტერმინალით რეალიზაციიდან შემოსული თანხებით, რომელიც ჯერ არ არის ასახული კომპანიის ანგარიშზე.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-17-ე შენიშვნაში.

14. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გრძელვადიანი ნაწილი		
სს თიბისი ბანკი*	4,322,212	2,905,897
მოკლევადიანი ნაწილი		
სს თიბისი ბანკი	3,184,725	1,419,529
	7,506,937	4,325,426

*სს თიბისი ბანკისგან მიღებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში კომპანიას აღებული აქვს 11 სესხი, ყველა მიღებული სესხი ნომინირებულია ევროში, 7% -იანი წლიური სარგებლის განაკვეთით, დაფარვის ვადები განსაზღვრულია 2018 წლის 15 იანვრიდან 2027 წლის 1 თებერვლამდე.

მიღებული სესხების ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს 24,828 და 23,102 ლარის გადასახდელ პროცენტს შესაბამისად.

მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები დატვირთულია იპოთეკით. სესხი დამატებით უზრუნველყოფილია გიორგი მედულაშვილის, დავით მედულაშვილის, პაატა გიგაურისა და ლევან მარგველაშვილის კუთვნილი 25%-იანი წილებით კომპანიაში.

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

14. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,325,426
სესხის აღება	10,800,551
საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალში	346,977
საპროცენტო ხარჯი, დაკავშირებული საინვესტიციო ქონებაზე	66,650
ძირის დაფარვა	(8,342,711)
სესხის პროცენტის დაფარვა	(411,901)
გადაფასება	721,945
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,506,937

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,811,766	2,739,176
სახელფასო ვალდებულებები	264,542	216,203
გასაცემი დივიდენდები	35,000	-
	4,111,308	2,955,379
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები*	1,449,625	949,510
საახალწლო გათამაშების ანარიცხი	76,000	91,875
	1,525,625	1,041,385
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,636,933	3,996,764

* მიღებული ავანსების ნაშთი სრულად წარმოდგენილია რეალიზებული სასაჩუქრე ვაუჩერებით.

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო. ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-17-ე შენიშვნაში.

16. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადო ანგარიშისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად, როგორც ვალდებულება 968,533 და 276,555 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი
 - სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიისთვის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- სავაჭრო მოთხოვნები
- ფული და ფულის ეკვივალენტები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური დეპარტამენტისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს შეამციროს რისკები მისაღებ დონემდე და ამასთანავე მისი გამოყენებით მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	2,313,380	921,383
ფული ბანკში	1,202,687	674,548
	3,516,067	1,595,931

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ჯამი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	2,313,380	-	-	2,313,380
ფული და ფულის ექვივალენტები	977,529	4,147	627,338	1,609,014
	3,290,909	4,147	627,338	3,922,394
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	993,754	42,200	3,075,354	4,111,308
მიღებული სესხები	-	-	7,506,937	7,506,937
	993,754	42,200	10,582,291	11,618,245
ღია საბალანსო პოზიცია	2,297,155	(38,053)	(9,954,953)	

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ჯამი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	885,060	36,323	-	921,383
ფული და ფულის ექვივალენტები	777,729	360	94,402	872,491
	1,662,789	36,683	94,402	1,793,874
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	731,825	31,232	2,192,322	2,955,379
მიღებული სესხები	-	-	4,325,426	4,325,426
	731,825	31,232	6,517,748	7,280,805
ღია საბალანსო პოზიცია	930,964	5,451	(6,423,346)	

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(7,611)	7,611	1,090	(1,090)
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(1,990,991)	1,990,991	(1,284,669)	1,284,669

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ჯამი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	2,313,380	-	-	2,313,380
ფული ბანკში	1,202,687	-	-	1,202,687
	3,516,067	-	-	3,516,067
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,111,308	-	-	4,111,308
მიღებული სესხები	3,184,725	3,472,396	849,816	7,506,937
	7,296,033	3,472,396	849,816	11,618,245
ლიკვიდურობის სხვაობა	(3,779,966)	(3,472,396)	(849,816)	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(3,779,966)	(7,252,362)	(8,102,178)	

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ჯამი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	921,383	-	-	921,383
ფული ბანკში	674,548	-	-	674,548
	1,595,931	-	-	1,595,931
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,955,379	-	-	2,955,379
მიღებული სესხები	1,419,529	2,460,742	445,155	4,825,276
	4,374,908	2,460,742	445,155	7,280,805
ლიკვიდურობის სხვაობა	(2,778,977)	(2,460,742)	(445,155)	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(2,778,977)	(5,239,719)	(5,684,874)	

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარიში)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი მმართველი პირები	ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,889	-	494,332	508,221
გადასახდელი ხელფასი	-	10,184	-	10,184
გადასახდელი დივიდენდი	-	35,000	-	35,000
შემოსავლები	24,924	-	768,662	793,586
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	16,216	-	16,216

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შეადგენდა 941,784 ლარით.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი მმართველი პირები	ერთობლივი საწარმოში	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	218,974	218,974
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	7,500	-	7,500

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს პრესტიჟის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს პრესტიჟის (შემდეგში კომპანია) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებებს, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მე-2 შენიშვნაში მოცემული საფუძველის შესაბამისად, რომელიც აღწერს ფასს-ზე გადასვლის საფუძველს ფასს 1-ის თანახმად, რომელიც მოიცავს დაშვებებს, რომ ხელმძღვანელობა გამოიყენებს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს, რომელიც ძალაში იქნება, როდესაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობა პირველად მოამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ის შესაბამისად; ასევე იხელმძღვანელებს შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშნის თარიღს. კომპანიის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულებები მარაგების რაოდენობების და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიული. აუდიტორული პროცედურების ჩატარებით, სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგები ზემოთ მოცემული თარიღებისთვის წარმოდგენილია შესაბამისად 8,898,524 და 7,025,964 ლარის ღირებულებით. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე:

ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნიტ, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ექვსის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნიტ, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)



შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 ოქტომბერი 2018 წელი

შპს პრესტიჟი

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017
ამონაგები	4	25,073,074
გაყიდვის თვითღირებულება	5	(12,055,674)
საერთო მოგება		13,017,400
სხვა შემოსავალი, წმინდა		57,868
გაყიდვის ხარჯები	6	(6,345,405)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,092,983)
საოპერაციო მოგება		3,636,880
წილი ინვესტირებულის საწარმოს მოგებიდან	10	7,219
საპროცენტო ხარჯი		(346,877)
ჩამოწერილი მარაგების ხარჯი		(491,949)
საკურსო სხვაობის ზარალი, წმინდა		(923,054)
მოგება დაბეგვრამდე		1,882,219
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,882,219

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 29 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი





მაია პაპალაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თეა ხარჩილავა

10 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

*შპს „პრესტიჟი“
მმართველობის ანგარიშგება*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
კომპანიის საქმიანობის და მდგომარეობის აღწერა	4
ბიზნეს მოდელი და საცალო გაყიდვების ცენტრები.....	4
კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა.....	5
ბაზარზე პოზიციონირება და კონკურენცია	5
სამომავლო განვითარების გეგმები.....	6
კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	6
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	6
ძირითადი კოეფიციენტების ანალიზი	7
კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები.....	8
რისკების მართვა	8

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს პრესტიჟის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 29 ოქტომბერს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას .

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

27 ნოემბერი, 2018

კომპანიის საქმიანობის და მდგომარეობის აღწერა

შპს „პრესტიჟი“ 13 წელია ახდენს პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის საცალო და საბითუმო რეალიზაციას საქართველოში. საცალო გაყიდვები წარმოებს კომპანიის მიერ შექმნილი „ისი პარის“ მაღაზიათა ქსელის საშუალებით.

საცალო გაყიდვების ბაზარზე კომპანია ერთერთი ლიდერია საქართველოში, როგორც ფინანსური ისე რაოდენობრივი მახასიათებლებით. პარფიუმერულ დარგში შპს „პრესტიჟის“ დიდი ხნის განმავლობაში ბიზნესის წარმოებამ კომპანიას საშუალება მისცა დაემყარებინა განსაკუთრებული ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან საერთაშორისო პარფიუმერებთან, რაც კომპანიის საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

შპს „პრესტიჟს“ აქვს ერთობლივი კომპანია დარგის სხვა 2 მოთამაშესთან ერთად (იხ. ბაზარზე პოზიციონირება და კონკურენცია), შპს „ამფორა“, სადაც ფლობს 34% წილს.

ასევე, საბითუმო რეალიზაციებს კომპანია ახდენს როგორც უშუალო კონკურენტებთან, ისე სხვა საცალო სავაჭრო ქსელებთან. საბითუმო რეალიზაციების მნიშვნელოვანი წილი მოდის ივერია ფრანსთან, სტაილთან, ამფორასთან, ასევე სააფთიაქო ქსელებთან როგორცაა გეფა, პსპ ფარმა, ავერსი, ფარმა და ა.შ. ძირითადად კოსმეტიკური საშუალებების სახით.

ბიზნეს მოდელი და საცალო გაყიდვების ცენტრები

ისი პარის მაღაზიათა ქსელი წარმოდგენილია 20 საცალო გაყიდვების წერტილით საქართველოში. აქედან 16 თბილისში, 4 რეგიონში.

კომპანია საცალო მაღაზიების გახსნაზე, მის მოცულობას და წარმოდგენილი პროდუქტის ასორტიმენტზე გადაწყვეტილების მიღებამდე ახდენს გარკვეულ მარკეტინგულ კვლევას. ასეთი კვლევების შედეგად დღეის მდგომარეობით კომპანიის საცალო ქსელი წარმოდგენილია:

- თბილისში 16 „ისიპარის“ მაღაზიით, საიდანაც:
 - 6 დიდი მაღაზიაა, სადაც კომპანიის პორტფოლიოში არსებული ყველა ბრენდია წარმოდგენილი.
 - 6 საშუალო ზომის მაღაზია, სადაც წამყვანი ბრენდებია წარმოდგენილი და
 - 4 პატარა მაღაზიაა, სადაც ადგილმდებარეობიდან გამომდინარე წარმოდგენილია სხვადასხვა ბრენდი (მოთხოვნიდან გამომდინარე)
- ბათუმში, რუსთავეში და ქუთაისში კომპანიას წარმოდგენილი აქვს დიდი ზომის მაღაზიები, სადაც ევროპის წამყვანი ბრენდების პროდუქციაა წარმოდგენილი.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით მაღაზიებს მართავენ მენეჯერები, რომლებიც თავის მხრივ ექვემდებარებიან გენერალურ დირექტორს და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, როგორცაა საკადრო განყოფილების უფროსი, კომერციული მართვის ხელმძღვანელი და ფინანსური დირექტორი.

კომპანია მუდმივად აანალიზებს ბაზართან მიმართებაში მაღაზიის მდგომარეობას, არეალს, სადაც მაღაზიაა წარმოდგენილი და თუ ამის საჭიროება არსებობს, ახდენს გაყიდვების წერტილის განახლებას, გაფართოვებას და ასორტიმენტის გაზრდას. მსგავსი ანალიზის საფუძველზე გაფართოვდა გლდანში, დიდ დილოში (გუდვილი) და ვარკეთილში მდებარე გაყიდვების წერტილები.

მენეჯმენტი რეგიონებში ორიენტირებულია საცალო გაყიდვების წერტილები გადაიტანოს მსხვილ სავაჭრო ცენტრებში ან დასახლებული პუნქტის ცენტრთან ახლოს. დაგეგმილია ქუთაისის მაღაზიის გაფართოვება და გადატანა უფრო პრესტიჟულ ადგილმდებარეობაზე.

მაღალი ხარისხის თანამედროვე პროდუქციასთან ერთად, საცალო გაყიდვების წერტილებს, მათ გარეგნულ იერსახეს, ადგილმდებარეობას, თანამშრომელთა კვალიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიისთვის, რადგან აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნესის წარმატებას.

კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა

სულ ორგანიზაციაში დასაქმებულია 236 თანამშრომელი. აქედან ოფისის პერსონალი და ლოჯისტიკა 87, ხოლო კლიენტებთან ურთიერთობაში ჩართულია 149 თანამშრომელი.

ცხრილი #1	ქალი		მამაკაცი	
საშუალო და უმაღლესი მენეჯმენტი	5	42%	7	58%
სულ თანამშრომლები	191	81%	45	19%

კომპანიის საკადრო პოლიტიკა უპირისპირდება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას და ცდილობს არა ამ ნიშნით დააკომპლექტოს კადრები, არამედ პროფესიონალიზმით და საქმისადმი სიყვარულით.


კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა კეთილდღეობაზე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სისტემატიურად ატარებენ ტრენინგებს როგორც ადგილობრივი ასევე მოწვეული უცხოელი სპეციალისტები.

მენეჯმენტი მომავალშიც გეგმავს იზრუნოს კადრების კვალიფიკაციაზე და ამ მხრივ გამოყოს ადამიანური და ფინანსური რესურსი.

ბაზარზე პოზიციონირება და კონკურენცია

კომპანია ორიენტირებულია შეინარჩუნოს წამყვანი ადგილი კონკურენტულ გარემოში და დღემდე ამას წარმატებით ახერხებს.

ისი პარი საქართველოში პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის ვაჭრობის სფეროში არსებული ყველაზე დიდი მაღაზიათა ქსელია.



წყარო: www.lutecia.ge, www.voulez-vous.ge

„პრესტიჟი“ საქართველოში, პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის ვაჭრობის სფეროში არსებული ყველაზე დიდი მაღაზიათა ქსელია (წყარო : WWW.BIA.GE)

შპს „პრესტიჟი“ ასევე პარტნიორული ურთიერთობები აქვს ჩამოყალიბებული ზემოაღნიშნულ კონკურენტებთან. ხდება სხვადასხვა ასორტიმენტის ურთიერთგაყიდვა. ასევე, პარტნიორული ურთიერთობების გასამყარებლად 2012 წელს ჩვენ შევქმენით საცალო გაყიდვების საერთო წერტილი თბილისის მოლში, სადაც სამივე (იხ. გრაფიკი #1) უმსხვილესი კონკურენტი ფლობს თანაბარ წილს.

სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია ორიენტირებულია ბიზნესის მუდმივ განვითარებაზე. კომპანიის მმართველობის შეხედულებით, ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია:

1. საცალო გაყიდვების ქსელის პერიოდული გაფართოვება
2. ასორტიმენტის პერიოდული განახლება
3. გაყიდვებში ჩართული თანამშრომლების მუდმივი გადამზადება

ისი პარი 20 მაღაზიით არის დღეს წარმოდგენილი თბილისსა და რეგიონში, თუმცა კომპანია ორიენტირებულია კიდევ უფრო განავითაროს ქსელი და მოიცვას საქართველოს ყველა ასათვისებელი რეგიონი, სადაც ხედავს პოტენციალს;

ახალი ბრენდების შემოყვანა საქართველოს ბაზარზე - ბაზრისა და საკუთარი მაღაზიების ანალიზის გზით კომპანია ახდენს ისეთი პროდუქტების იდენტიფიცირებას, რომელიც აკლია ასორტიმენტს და ამის საფუძველზე გეგმავს ბრენდების მოძიებას მომხმარებელთა ყველა კატეგორიისთვის. საჭიროების იდენტიფიცირებას ახდენს მომხმარებლების მოთხოვნებიდან და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული სიახლეებიდან გამომდინარე.

ყოველწლიურად კომპანიის მენეჯმენტი ესწრება საერთაშორისო გამოფენას კანში, სადაც სხვადასხვა მსოფლიო დონის ბრენდები ახდენენ სიახლეების პრეზენტაციას. 2017 წელს კომპანიამ ქართულ ბაზარზე შემოიტანა ისეთი ცნობილი ახალი ბრენდები, როგორიცაა Missoni, Coach, Zadig & Voltaire, Carven, თუმცა ამავე დროს უარი თქვა სხვა ისეთი პროდუქტის შემოტანაზე, რომელზე მოთხოვნა ქართველი მომხმარებლის გემოვნური, საფასო თუ სხვა მიდრეკილებების გამო არ იქნებოდა წარმატებული.

სამომავლო გეგმები ამ ეტაპისთვის სრულ თანხვედრაშია კომპანიაში ბოლო პერიოდში დაწერგილ მმართველობით სტრატეგიასთან. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იგეგმება.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლები მყისიერ ასახავს პოვნებს კომპანიის კეთილდღეობაზე, ამიტომ მას აქვს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი ეფექტი. არაფინანსური მაჩვენებლები კი ძირითადად ორიენტირებულია გრძელვადიან კეთილდღეობაზე და მათი ეფექტი გრძელვადიან პერიოდში ასახავს პოვნებს ფინანსურ მაჩვენებლებზე. ქვემოთ განვიხილავთ ორივე ტიპის მაჩვენებელს და აღვწერთ მათი ზეგავლენა ბიზნესზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შპს „პრესტიჟი“ 2017 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგებას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით (ფასს). კომპანიას საკმაოდ ჯანსაღი და მყარი ფინანსური მდგომარეობა აქვს.

ცხრილი #2 (ლარში)	2017	2016
წმინდა საბრუნავი კაპიტალი*	3,114,764	3,270,240
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,609,014	872,491
სულ აქტივები	18,135,956	12,540,079
სესხები	7,506,937	4,325,426
ვალდებულებები სულ	14,112,403	8,598,745
საკუთარი კაპიტალი	4,023,553	3,941,334

*მიმდინარე აქტივები - (1-წლიანი სესხები + ვალდებულებები მომწოდებელთან + საგადასახადო ვალდებულებები)

როგორც ცხრილი #2-ში ვხედავთ, კომპანიას აქვს საკმაოდ კარგად დაკომპლექტებული საბრუნავი კაპიტალი - მიმდინარე აქტივები საშუალოდ 3 მლნ. ლარით აღემატება მოკლევადიან (ერთ წლამდე) ვალდებულებებს. ეს, კომპანიის საკუთარ კაპიტალთან ერთად, კარგი სიგნალია კომპანიის სავაჭრო პარტნიორებისთვის, რადგან ის ზრდის კომპანიისადმი ნდობას.

ცხრილი #3 (ლარი)	2017
შემოსავალი	25,000,000
საერთო მოგება	13,000,000
EBITDA	2,546,000
წმინდა მოგება	1,900,000

კომპანია ინარჩუნებს მაღალ მომგებიანობას, რაც კარგი საზომია ბიზნესის მმართველობის მიერ არჩეული ბიზნეს სტრატეგიისა და ფინანსური მენეჯმენტის ადექვატური წარმოებისა.

ძირითადი კოეფიციენტების ანალიზი

საგალო გაყიდვების ბიზნესისთვის, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, უმთავრესი არის საბრუნავი კაპიტალის სწორი მართვა. ჩვენს მიერ მოხდა იმავე სექტორში მომუშავე მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების მონაცემებთან შედარება.

შენიშვნა: გამოდინარე იქედან, რომ ქართულ ბაზარზე არსებულ მსგავს კომპანიებზე აღნიშნული ინფორმაცია არ საჯაროვდება, ვერ ვახდენთ ჩვენი უშუალო კონკურენტების მონაცემების შედარებით ანალიზს. ცხრილ #4-ში 2017 წლის პრესტიჟის მონაცემები შედარებულია ინტერ პარფიუმის ანალოგიური პერიოდის და ორიფლეიმის წინა წლის მონაცემებთან.

ცხრილი #4	პრესტიჟი	ორიფლეიმი*	ინტერ პარფიუმსი**
კრედიტორის დაფარვის დღე	99	95	89
დებიტორის დაფარვის დღე	24	13	75
მარაგის ბრუნვის დღე	241	167	199
ფულის ბრუნვის ციკლი	165	85	184

*Oriflame Cosmetics | წყარო: <https://www.gurufocus.com/term/CCC/ORFLY/Cash-Conversion-Cycle/OriflameCosmeticsSA>

**Inter Parfums Inc | წყარო: <https://www.gurufocus.com/term/CCC/IPAR/Cash-Conversion-Cycle/Inter-Parfums-Inc>

როგორც ცხრილში ვხედავთ კომპანია კრედიტორული დავალიანებების ანაზღაურებას ახდენს დარგში მიღებული პრაქტიკის ანალოგიურად, საერთო ჯამში კი ფულის ბრუნვის ციკლი საშუალო დონეზეა - ამ მაჩვენებლით ჩამორჩება ორიფლეიმ კოსმეტიკსს, მაგრამ უკეთესი აქვს, ვიდრე ინტერ პარფიუმსს.

აქვე აღსანიშნავია ბიზნესის ლიკვიდობის კარგი მაჩვენებელია - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენდა 1,32-ს, რაც იმას ნიშნავს, ლიკვიდური აქტივები, რომელთა ფულად გადაქცევა 1 წლამდე პერიოდში ადვილად არის შესაძლებელი, 1,32-ჯერ აღემატება 1 წლამდე პერიოდში გადასახდელი ვალდებულებებს.

ყველა ბიზნესისთვის უმთავრესი მაინც არის მომგებიანობა. ეს მნიშვნელოვანია როგორც კომპანიის მფლობელებისთვის, ისე ბიზნეს პარტნიორებისთვის, რადგან ის გრძელვადიანი წარმატებული ურთიერთობის აუცილებელი წინაპირობაა. ამ მხრივ შპს „პრესტიჟის“ 2017 წლის მდგომარეობა საკმაოდ დამაჯერებელია.

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოსდაცვის კუთხით კომპანიის საქმიანობა რისკის შემცველი არ არის. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის მიერ იდენტიფიცირებული წუნდებული მარაგების განადგურება ხდება საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკისა და ჩვენი უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციების მიხედვით, ამ პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის უსაფრთხოდ და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რისკების მართვა

ნებისმიერი ბიზნეს-საქმიანობა არის ფინანსური რისკის შემცველი. ამისგან არც შპს „პრესტიჟი“ არ არის განთავისუფლებული. თუმცა, კომპანია ცდილობს ისე მართოს სხვადასხვა საშიშროებები, რომ შენარჩუნდეს მმართველობის მიერ განსაზღვრული განვითარების კურსი და ამასთან კომპანიამ მიიღოს მოგება.

ბიზნესის მთავარი რისკი ბუნებრივად არსებული ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარეობს და ეს არის სავალუტო რისკი. კერძოდ, კომპანიის მომწოდებლები ძირითადად ევროპული და ასევე ამერიკული პარფიუმერული კომპანიებია, რომელთა საოპერაციო ვალუტა ევროსა და აშშ დოლარშია, შესაბამისად. შპს „პრესტიჟის“ ფუნქციონალური ვალუტა ლარია, შესაბამისად, ბუნებრივად წარმოიშობა გაცვლითი კურსის მერყეობის რისკი.

ასევე, კომპანიის სესხები დენომინირებულია ევროში, რაც აღრმავებს სავალუტო რისკს. 2017 წლის განმავლობაში ამ რისკით გამოწვეულმა ზარალმა 900 ათას ლარს გადააჭარბა.

კომპანიის მენეჯმენტი აწარმოებს მოლაპარაკებებს მომსახურე ბანკთან ევროში დენომინირებული სესხების გალარებასთან დაკავშირებით. დიდი ალბათობით ამ საკითხზე შეთანხმება საბოლოოდ მიღწეულ იქნება 2018 წლის დასაწყისში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სავალუტო რისკს.

დირექტორი

მაია პაპალაშვილი

27 ნოემბერი 2018

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოსდაცვის კუთხით კომპანიის საქმიანობა რისკის შემცველი არ არის. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის მიერ იდენტიფიცირებული წუნდებული მარაგების განადგურება ხდება საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკისა და ჩვენი უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციების მიხედვით, ამ პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის უსაფრთხოდ და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რისკების მართვა

ნებისმიერი ბიზნეს-საქმიანობა არის ფინანსური რისკის შემცველი. ამისგან არც შპს „პრესტიჟი“ არ არის განთავისუფლებული. თუმცა, კომპანია ცდილობს ისე მართოს სხვადასხვა საშიშროებები, რომ შენარჩუნდეს მმართველობის მიერ განსაზღვრული განვითარების კურსი და ამასთან კომპანიამ მიიღოს მოგება.

ბიზნესის მთავარი რისკი ბუნებრივად არსებული ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარეობს და ეს არის სავალუტო რისკი. კერძოდ, კომპანიის მომწოდებლები ძირითადად ევროპული და ასევე ამერიკული პარფიუმერული კომპანიებია, რომელთა საოპერაციო ვალუტა ევროსა და აშშ დოლარშია, შესაბამისად. შპს „პრესტიჟის“ ფუნქციონალური ვალუტა ლარია, შესაბამისად, ბუნებრივად წარმოიშობა გაცვლითი კურსის მერყეობის რისკი.

ასევე, კომპანიის სესხები დენომინირებულია ევროში, რაც აღრმავებს სავალუტო რისკს. 2017 წლის განმავლობაში ამ რისკით გამოწვეულმა ზარალმა 900 ათას ლარს გადააჭარბა.

კომპანიის მენეჯმენტი აწარმოებს მოლაპარაკებებს მომსახურე ბანკთან ევროში დენომინირებული სესხების გალარებასთან დაკავშირებით. დიდი ალბათობით ამ საკითხზე შეთანხმება საბოლოოდ მიღწეულ იქნება 2018 წლის დასაწყისში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სავალუტო რისკს.

დირექტორი

მაია პაპალაშვილი

27 ნოემბერი 2018

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს პრესტიჟის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 29 ოქტომბერს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

27 ნოემბერი, 2018